1877—1895

№ 252

სამშაბათი, 21 ნოემბერი 1895

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად** უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 23 ნოემბერს.**

## „ივერია“

გამოვა 1896 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

„ივერიის“ რედაქციას

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას,

სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА.“

## ქიზიყის ღვინოს

**გამგეობას** ჰსურს იყოლიოს ტფილისში და მოსკოვში სავაჭრო საქმეებში გამოცდილი კომისიონერები; მსურველს შეუძლიან თავისი პირობები წერილით გვამცნობოს ამ ადრესით: Сигнахъ. Квемо-Мачхаани. Д. Надирадзе.

(3—2042—1).

## ქართული თეატრი.

ოთხშაბათს, 22 ნოემბერს, 1895 წ.

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

ნიაღვრებისაგან დაზარალებულ ტფილისისა და ქუთაისის გუბ. სოფლის მცხოვრებელთა სასარგებლოდ ქ-ნ ავალიშვილისა, კ. ყიფიანისა და კ. მესხის მონაწილეობით

## სამშობლო

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად თხზ. დ. ერისთავისა.

შახის როლს თამაშობს კ. **მესხი.**

წარმოდგენის შემდეგ დადგმული იქნება ცოცხალი სურათი

**ს ა მ შ ო ბ ლ ო დ ა ნ**

მონაწილეობას ღებულობენ: ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, ჩხეიძისა და სხვ., ბ-ნნი ყიფიანი, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, ადამიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

## მიიღებს 250 მანეთს,

რომელიც დაკარგულს ხელის საკვოიაჟში იყო, ვინც წარმოადგენს დაკარგულს გულზედ დასაკიდებელს ჯვარს მცხეთის დედათა მონასტრის წინამძღვარის **ნინოსას.**

(2—2040—2).

## ახალი ამბავი

—

*** ხვალ, 22 ნოემბერს, ქართული დრამატიული დასისაგან გამართული იქნება წარმოდგენა, რომლის შემოსავალი გარდადებულია საქართველოს სოფლის დაზარალებულ მცხოვრებთა სასარგებლოდ. წარმოდგენილი იქნება „სამშობლო“, ხუთ-მოქმედებიანი დრამა. უეჭველია ქართველი საზოგადოება დიდის თანაგრძნობით მიეგებება ამ საქველმოქმედო წარმოდგენას და აავსებს ხვალ ქართველ თავად-აზნაურთა თეატრის დარბაზს.

*** ხვალ, შუადღის შემდეგ, მთავარმართებელი ს. ა. შერემეტევი საქართველოს სამხედრო გზით პეტერბურგს მიდის. ბ-ნი მთავარმმართებელი, როგორც წინადაც ვიუწყებოდით, მთელი ზამთარი დარჩება პეტერბურგში.

*** 18 ნოემბერს ტფილისში გარდაიცვალა ექიმი ვერმიშევი. განსვენებული ვერმიშევი თითქმის მთელი ორმოცი წელიწადი ექიმობდა ქალაქში, მერე ისიც მომეტებული დრო ქალაქის უღარიბეს ნაწილში — ავლაბარში იყო ქალაქის ექიმად. ტფილისის ღარიბი მცხოვრებნი მუდამ უსასყიდლოდ იღებდნენ ყოველგვარს სამკურნალო შემწეობას განსვენებულისაგან. განსვენებული ნ. ბ. ვერმიშევი გარდა ამისა დიდხანს იყო ქალაქის საბჭოს ხმოსნად.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ ტრამვაის უსახელო საზოგადოებას შემდეგი წინადადება მისცა: 1) ამუშაოს საკმაო რიცხვი ვაგონებისა, უმეტესად დღესასწაულებში და იმ ადგილებში, სადაც ხალხი უფრო ეტანება; 2) დაცულ იქმნას წესიერება, რომ სავსე ვაგონები არა ჩერდებოდნენ ხოლმე გზაზე და თუ საკმაო რიცხვია მგზავრებისა, ვაგონში მეტი აღარავინ ჩასვან; 3) აეკრძალოთ მგზავრებს ვაგონში ფეხზე დგომა.

ტფილისის პოლიცმეისტერმა ბრძანება გასცა ბეჯითად ადევნონ თვალყური ამ წეს-რიგის დაცვას. (ნ. ო.)

*** 18 ნოემბერს დაბრუნდა დასავლეთ საქართველოდამ კომისია, რომელსაც მინდობილი ჰქონდა დაზიანებულ რკინის გზის ადგილობრივ გასინჯვა. კომისიამ, რომელსაც შეადგენდნენ სახელმწიფო რკინის გზათა გამგეობის თავმჯდომარის თანაშემწე ინჟენერი ა. ნ. გორჩაკოვი, სამხედრო უწყების წარმომადგენელი გენერალ-მაიორი ნ. ე. ნიდერმილლერი, რკინის გზათა ინსპექტორი ს. ა. ზინგერევი, რომელიც პეტერბურგიდგან იყო გამოგზავნილი, კავკასიის რკინის გზის უფროსი ინჟენერი ვედენეევი, ყარსის რკინის გზის გამყვანი ინჟენერი გ. დ. ვურცელი, კავკასიის რკინის გზის რემონტის უფროსი ინჟენერი აკორონკო და ტელეგრაფის სამსახურის გამგე ინჟენერი ბალიუკევიჩი, ფეხით გაიარა გვირაბის დასავლეთ მხრიდგან, ვიდრე ყვირილამდე, იყო ბათუმში, ფოთში და ქუთაისში და ყველგან გასინჯა დაზიანებული ადგილები. რადგანაც დღემდის წვიმა არ შეწყდარა და მუშაობა გაძნელებულია, ამიტომ სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა დეკემბრის გასულამდე არ დაიწყება; მაშინაც-კი ზოგიერთს ადგილებში გადასხდომა დასჭირდებათ მგზავრებს.

*** კვირას, 26 ამ თვეს, კნეინა მ. ვ. ასულის ჯამბაკურიან-ორბელიანის მოთავეობით „ტფილისის სობრანიეში“ გამართული იქმნება კონცერტი დედათა მომავალ ქართულის სკოლის სასარგებლოდ. ამ კონცერტში მონაწილეობას მიიღებს გამოჩენილი ვიოლონჩელის დამკვრელი პორტენი, რომელიც ამ კონცერტის შემდეგ წავა ტფილისიდგან. აგრეთვე მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნი სარაჯევი, სოკოლოვსკისა და სხვანი.

*** რედაქციამ მიიღო ივანე როსტომაშვილის გამოცემა № 4 საბოსტნე მცენარეების თესვა-მოყვანა და მოხმარება-შენახვა, შედგენილი სწავლული მებაღის არჩილ დარეჯანიშვილის-მიერ, ფასი 1 აბაზი, გაგზავნით 5 შაური და მეორე № 5 შინაური საქონლისათვის საკვები. ბალახების თესვა-მოყვანა. 11 სურათით. ფასი 5 შაური. პირველი წიგნი შეიცავს სულ 46 გვერდს, ხოლო უკანასკნელი 30 გვერდს.

## ფელეტონი

### ეკლიანს გზაზედ.

(მოთხრობა).

(დასასრული *)

მარიამობისთვის კაშკაში ღამეა. თუმცა შუაღამე გადასული იყო, მაინც ქ. ს—ის მღვთის-მშობლის გაჩაღებული ეკლესია ხალხით იყო გაჭედილი. ეკლესიაში საშინელი სიცხეა. ზინც-კი არავინ იძროდა და ყველა მოუთმენლად ნეფე-პატარძლის მოსვლას ელოდა. ხალხს პატარძლის ნახვა უფრო უნდოდა. ანდროს და თიკოს დანიშვნა ყველას დღემდის ტყუილი ეგონა. საზოგადოებას თავის ჭორის გაცრუება არ ეპაშნიკა, არცა სჯეროდა და აგერ ეკლესიაში მოგროვილიყო, რომ თავისი თვალით ენახა და დარწმუნებულიყო.

[illegible]მის პირველი საათია; საქორწილოდ მორთული ეტლი ეკლესიის შესავალ კარებთან გაჩერდა. მგალობელთ ხმა აუმაღლეს და ეკლესიაში ნეფე-პატარძალი შემოვიდა. მაყურებელი ხალხი შეინძრა და ჩურჩული გაება; ყველა წინ იწევდა, ყველას უნდოდა ნეფე-პატარძალი კარგად გაესინჯა, რომ ერთი კვირის სალაპარაკო მასალა შეეძინა. ამოდენა ხალხი თიკოს მისჩერებოდა, მაგრამ თიკო უძრავად იდგა. თვალებს იატაკს არ აშორებდა და სახეზე რაღაც შავი ზოლი არ შორდებოდა. ნათლად ეტყობოდა, რომ ეკლესიაში მხოლოდ იმისი სხეული იდგა. აზრი, ფიქრი-კი შორს, შორს უჭრიდა.

ნეფე მაყრებითურთ თიკოს წასაყვანად რომ მივიდნენ, სწორედ მაშინ თიკოს ვანოს წერილი გარდასცეს. წერილი თიკომ კაბის უბეში ჩაიდო და ანდროს გამოეგება. ვანოს მაგიერ იმისი წერილი თიკოს ჯვარისწერას მოწმად დაესწრო. მაგრამ რა ეწერა წერილში, თიკომ არ იცოდა და ამ გამოურკვევლობამ დაადონა თიკო. თიკო მხოლოდ მაშინ-ღა გამოერკვა, როცა მღვდელმა მიჰმართა ჯვარს და სახარებას ემთხვიეთო. გათავდა ჯვარის-წერა. ახლად ჯვარდაწერილნი აუარებელის მაყრებით მთლად სანთლების ალში ჩანთქულს ანდროს სახლისაკენ გაემგზავრნენ. ნეფიონს საუცხოვოდ მორთულ დარბაზის კარებში მოხუცი მშობლები მიეგებნენ, დალოცეს და შვილები გადაჰკოცნეს.

ათ წუთს მთელი დარბაზი მოწვეული სტუმრებით გაივსო. სტუმრები ჯვარ-დაწერილთ წინ მდგომ ხილით სავსე მაგიდას მიაწყდა. მახლობელნათესავნი მილოცვას კოცნით ამოწმებდნენ. მილოცვა გათავდა და მომღხინეთ ლეკური დაჰკრეს, ტაშმა იგრიალა და დარბაზში ცეკვა გაჩაღდა.

თიკომ იდროვა. ანდროს რაღაც წასჩურჩულა და ახალ ჯვარ-დაწერილთათვის მომზადებულს ოთახში გავიდა. საჩქაროდ კაბის გული გაიხსნა, ვანოს წერილი ამოიღო და კითხვა დაიწყო. კითხულობდა წერილს და თვალებიდამ მდუღარე ცრემლი ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა. როგორც იყო გაათავა წერილის კითხვა, საშინელი ხმით ამოიკვნესა და იქვე მთლად მოწყვეტილი დაეშო. ვანო სწერდა, რომ მე გორში გადამიყვანეს, შენი სკოლისათვის მასწავლებელი ვიშოვნე და ამ თვის ნახევრებში ორივენი მოვალთო. სკოლას ჩავაბარებთ, გზას დაულოცავთ და ჩვენც დაუყოვნებლივ გორში წავალთო. წერილის შინაარსმა თიკოს თვისი მდგომარეობა დაავიწყა. საცოდავად ქვითინებდა და თან იმეორებდა: „მაპატიე ვანო! რად დაიგვიანე? როგორ-ღა შემოგხედო ვანო? ვანო!.“

საწოლ ოთახის მახლობლად ხმაურობამ თიკო გონს მოიყვანა. პირისახე მოიწმინდა, თვალებზე ცივი წყალი შეისხა, ტანისამოსი გაისწორა და დარბაზში გამოვიდა. სუფრა უკვე გაეშალათ. თიკო დიდადა სცდილობდა თავი შეემაგრებინა, მხიარული სახე შეენარჩუნებინა, რომ მისი სულიერი ტანჯვა არავის შეემჩნია. მაგრამ ამაოდ! დაკოდილი გულის დამორჩილება მოღალულ-მოქანცულს თიკოს სად შეეძლო! თიკოს მდგომარეობამ სტუმრებში ჩურჩული და მითქმა-მოთქმა გააცხოველა. ბოლოს ისე წაიმამლდა ზოგიერთი მანდილოსანი, რომ თიკოს ყურშიაც-კი გააგონეს: «ჩვენი პატარძალი პირველი საქმროს ღალატმა დაადონა». ლახვარსავით ეცა თიკოს ეს სიტყვები. გული გაუპო და საშინელმა ფერმა გადაჰკრა. თიკომ თავი ანდროსაკენ გადიხარა და ჩუმად უთხრა:

— ცუდადა ვარ, ოთახში გამიყვანე.

ანდრო თიკოს გაცრიაგებულმა სახემ შეაშინა, საჩქაროდ მხარში შეუჯდა და საწოლ ოთახში გაიყვანა. თიკოსთან ნენე დასტოვა და თითონ სტუმრებთან დარბაზში გამოვიდა. ნენემ შვილს ტანისამოსი გაჰხადა, ლოგინში ჩააწვინა და რომ შენიშნა თიკომ თვალები დახუჭაო, ფეხ-აკრეფით ოთახიდამ გამოსასვლელად გამოტრიალდა. თიკოს რაღაც მოაგონდა და დედას დაუძახა.

— რა იყო შვილო!

— იატაკზე რომ ქაღალდი გდია, მომაწოდე.

ნენემ ქაღალდი მონახა და მიაწოდა.

— დედი, სანთელი აქ მომიტანე!

— რად გინდა შვილო?

— მომიტანე...

ნენემ სანთელი მიუტანა. თიკო ლოგინში წამოჯდა, ვანოს წერილი გაშალა და ცეცხლს მისცა; მისი მტვერი იატაკზე გადაყარა და კვნესით წამოიძახა:

მშვიდობით ჩემის ხელით დამარხულო ჩემო ბედნიერებავ!

გაყვითლებული თიკო ბალიშზე მიესვენა. ნენე გაშტერებული დაჰყურებდა შვილს...

პატარძლის უქეიფობა მხიარულს სუფრასაც დაეტყო. სტუმრები მალე აიშალნენ. ანდრო ბევრს ეხვეწებოდა, სთხოვდა ნადიმი განვაგრძოთო, მაგრამ ყველა უარზე იყო. ახმიანებული, გაჩაღებული დარბაზი პირ-

*) იხ. „ივერია“ № 251.

*** გაზ. „ნოვ. ვრემ.“ იუწყება, რომ ამ მოკლე დროში სახელმწიფო საბჭოს წარუდგინება პროექტი, რომელიც შავი-ზღვის ნაპირების დასახლებას შეეხება და რომელიც შეადგინა კომისიამ ნ. ა. აბაზის თავმჯდომარეობით.

*** გაზ. „ნოვ. ობოზრ.“ ატყობინებენ, რომ ახალციხის მაზრაში, ზოგიერთ სოფლების მცხოვრებლებისათვის აგვისტოსა და სექტემბრის განმავლობაში სიცივეს 17,000 მანეთის ზარალი მიუცია.

*** სოფ. შხეფი (სენაკის მაზრა): ამ რამდენისამე წლის წინად ს. შხეფი განთქმული იყო „ოჯალეშის“ ღვინით. მაგრამ, საუბედუროდ, ერთგვარმა ვაზის ავადმყოფობამ მთლად ხელი აგვალებინა. ამის შემდეგ ვიწყეთ ოდესის ვაზის მოშენება. ამ ბოლო დროს ესეც წლითი-წლობით კლებულობს და წელს-კი სულ ღმერთი გაუწყრა. მთელს სოფელში ხუთი კოკა ღვინო არ დაუყენებიათ. ამას თქვენი ჭირი წაეღო, ოღონდ სიმინდი მაინც მოგვსვლოდა. სიმინდმაც წელს თავი დაგვიკრა და არ ვიცით, ვის აქვს ამდენი შეძლება, რომ ჯალაბობა ნაყიდი სიმინდით გამოკვებოს. ზოგიერთებს შობამდის არ მიჰყვება წრიევანდელი მოსავალი.

ამ შემოდგომაზე აქეთ ქურდობამ შესამჩნევად იმატა...

## ქართული წარმოდგენა წყალ დიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

ყოველ დღე ახალ-ახალი ამბავი მოგვდის საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილებიდგან წყალ-დიდობის შესახებ. ეს ამბები არა თუ გვიქარწყლებენ, ან გვიმსუბუქებენ პირველ დღეთა შთაბეჭდილებას, არამედ უფრო-და-უფრო საზარელ სურათს გვიხატავენ, უფრო-და-უფრო გვიჩვენებენ იმ უბედურს მდგომარეობას, რომელშიაც ჩააგდო წყალდიდობამ ჩვენი სოფლის მცხოვრები. ნამეტურ გაუბედურებულია დღეს წყალ-დიდობისაგან დასავლეთი საქართველო. წყლის ნაპირა თითქმის ყველა სოფლებიდამ მოგვდის წერილები, რომლიდამაც ვტყობილობთ— წყალმა წაიღო სახლები, სასიმინდეები ჭირნახულით, წისქვილები, საქონელი და სხვა! თითქმის ყოველი წერილი თავდება ორი საშინელი სიტყვით: „ზარალი აუარებელიაო“!

ქართველი საზოგადოება კარგად გრძნობს, რომ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს ეწვია დღეს ისეთი განსაცდელი, რომელიც თხოულობს მხნე და ენერგიულს შებრძოლებას. დღეს ყველამ იცის, რომ ჩვენს ხალხს ისეთი ზარალი მოუვიდა, რომელიც კარგა ხნით დაჰჩაგრავს მას, კარგა ხნით უკან დასწევს მისს კეთილ-დღეობას. ამიტომაც ყოველ მხრიდგან გვესმის, რომ საჭიროაო დახმარება მალე და ნამდვილად მოიწყოსო. შეგვიძლია ვაუწყოთ მკითხველთ, რომ ერთმა საპატიო ადამიანმა უკვე აღძრა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რომ ნება გამოიტანოს—დაზარალებულთა დასახმარებლად საგანგებო კომიტეტი დააარსოს. ჯერ არ ვიცით, იქნება თუ არა შეწყნარებული ეს შუამდგომლობა, მაგრამ ამ გარემოებამ არ უნდა შეგვაჩეროს და არც შეაჩერებს, რასაკვირველია, ქართველი საზოგადოების მეცადინეობას. განზრახულია გაიმართოს წარმოდგენები, ბალები, კონცერტები და სხვა. უეჭველია მარტო ტფილისი ვერ შესძლებს ყველაფერს და ჩვენი პროვინციებიც გულ-მხურვალედ უნდა შეუდგნენ დაზარალებულთა დახმარებას...

პირველი ნაბიჯი ამ საჭირო და სასარგებლო საქმეში გადადგა ჩვენის დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ.

ხვალ, ოთხშაბათს, 22 ნოემბერს, ქართული დასი წარმოადგენს დაზარალებულთა სასარგებლოდ ცნობილს დრამას „სამშობლოს“. სწორედ მოსაწონია ხსენებულ გამგეობის გარდაწყვეტილება და იმედი უნდა ვიქონიოთ მაგალითი წაბაძველთ გამოიწვევს. იმედი უნდა ვიქონიოთ აგრეთვე, რომ ხვალინდელი წარმოდგენა დიდძალ საზოგადოებას შეჰკრებს ქართული თეატრის დარბაზში, რადგანაც ასეთი საგნისათვის, როგორიც არის დღევანდელი გაჭირვება, არც ერთი ქართველი ხარჯს არ შეუშინდება.

## კორესპონდენცია.

**სოფ. ლამის ყანა.** აქედამაც უნდა გაუწყოთ სასიამოვნო ამბავი: დიდის მითქმა-მოთქმის შემდეგ ხალხსა და ზოგიერთთა პირთა შორის და დიდის ბრძოლის შემდეგ პატივცემულის კნეინა მ. ვ. ორბელიანის შემწეობით ბოროტება იძლია, სინათლემ გაიმარჯვა და ლამის ყანაში სკოლა დაარსდა, ეს ერთად-ერთი იმედი, ჩვენის ხალხის გონების გამაფხიზლებელი. ხალხში სხვა-და-სხვა ლაპარაკია ამის თაობაზე: ზოგი იძახის „შენი ჭირიმე, უჩიტელო, ერთი კარგა გამიწვრთნე შვილები და შენისთანა ბედნიერი გამოიყვანე“, ზოგი იძახის: „ზურგზე ტყავი მძვრება მეტის გაჭირვებისაგან და აქ რა მესკოლება“, და ზოგი რას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყველანი ურიგდებიან ამ ახალს „ჭირს“, როგორც თითონ ეძახიან. ხალხი ძალიან მზადებაშია სკოლისათვის; ამზადებენ არა მარტო შვილებს (ნამეტნავად ქალებს), არამედ თითონაც ემზადებიან. ხალხი ამბობს: „მარტო პატარა ბიჭებისათვის ხომ არ იქნება ე სკოლაა რაღაცა! თუ სწავლა არის, ჩვენც კარგად ვისწავლით, განა ჩვენ-კი ყელზე დაგვადგება!“ აი ამ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს, და წმიდა მოთხოვნილება ხალხისა არ იყოს უყურადღებოდ დაგდებული. გლეხს სწავლისათვის სხვა დრო არ გააჩნია, თუ არ კვირა; ამიტომ უნდა დაარსდეს საკვირაო სკოლა. ამ სკოლაში მეტის-მეტად-კი არ უნდა ჭიანურდებოდეს ანბანი, არამედ უნდა იკითხებოდეს სხვა-და სხვა წიგნები, საიდგანაც ხალხი გამოიტანდეს პრაქტიკულს ცოდნას და ამით შეიმსუბუქებდნენ, ცოტად თუ ბევრად, თავისს მძიმე ტვირთს. ვაი ის არის ლამის-ყანელებისა, რომ საკუთარი შენობა სკოლისა არა აქვთ. თუმცა კარგი შენობა უჭირავთ ქირით, მაგრამ ეს შენობა ძალიან პატარა არის ამოდენა საზოგადოებისათვის, რის გამოც ორ წილზედ მეტს უარი უნდა ეთქვას სწავლაზე. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ლამისყანელები ამ დიდ ნაკლს მალე შეავსებენ, თუ პატრონი ეყოლებათ და მოზრდილ სახლს მალე აიშენებენ.

განუწყვეტელმა წვიმებმა დიდი ზარალი მისცა ხალხს. პატარა რუ საგან, რომელიც კალაპოტში ველარ დატეულა, ერთად-ერთი გზა ლამისყანელებისა ისე გაფუჭებულია, რომ იმაზე გასვლა არ შეიძლება, მით უფრო, რომ ეკლესიაში ამ გზით უნდა წავიდეს კაცი. საჭიროა, ვისგანაც ჯერ არს, ამ რუს გზა გაეწმინდოს და გზა განთავისუფლდეს, რომ ეკლესიაში მაინც მიისვლებოდეს. ამ წვიმებს ეხლა თოვლიც მოჰყვა.

მოსული.

—

**ჭიათურა.** ნათქვამია: „გზა ნაგზურს და წყალი ნარწყულს არ დაავდებსო“ და სწორედ ის შესრულდა შაბათს, 28 ოქტომბერს, ჭიათურაში. დილით რომ დაიწყო წვიმა, გადუღებლივ იწვიმა მთელი დღე და საღამოზე ისე მოდიდ და მდინარე ყვირილა, რომ არავის არ უნახავს ამისთანად მოდიდებული. როგორც ამბობს აქაური მომსწრე ხალხი, წყალმა მთლად გადიარა მთელი ჭალები, „ჭერეხი“, სადაც შავი ქვის საწყობი იყო. რკინის გზის სადგური არის და პლატფორმები. მოგლიჯა და წაიღო დიდი ხიდი, რომელიც რკინის გზისაგან იყო გაკეთებული, აგრეთვე ისიც, რომელიც ბ-ნ არისტიდი ავერინოვმა ეხლა მოათავა „ჭქოურში“ და დაადვა ბაჟი გამსვლელ მეურმეებს, დაარღვია რკინის გზის ლიანდაგი და დამბა. არ ვფიქრობთ, რომ ამ წელში იქმნეს მიმოსვლა რკინის გზისა ჭიათურამდე. ისევე უნდა მოვძებნოთ ჩვენი ძველი უნაგირები და ცხენები.

წაიღო მრავალი შავი ქვა და დანაშთენნი ერთიანად მოსილა.

ძლივს მოვესწარით ჭიათურაში ფოსტას და ტელეგრაფს. ახლა-კი ისენიც ამ დროებით დახურული შეიქმნა, რადგანაც ტელეგრაფის სვეტები სულ დაგლიჯა წყალმა და რკინის გზით მიმოსვლაც მოისპო.

აქამდის შავი-ქვის საქმე გაჩერებული იყო, რადგან ფასი არ ჰქონდა; ახლა-კი ცოტა გაცხოვლდა ეს საქმე, რადგანაც შემოგვემატენ ახალი მწარმოებლები.

ერთის მხრიდამ მეორე მხარეს ვერ გადავდივართ; ნაცვლად ოცის საჟენის გზისა, ვისაც უნდა მეორე მხარეზე გადასვლა, უნდა მოუაროს თორმეტს ვერსზე, სოფ. სალიეთით, ისიც ქვევითად.

ჭ—ძე.

30 ოქტომბერი,
ს. ჭიათურა.

—

**დ. ყვირილა.** 28 ღვინობისთვე. თუმცა-ღა ადგილობრივ დიდი წვიმა არ ყოფილა, მაგრამ მდინარე ყვირილამ, რაც დრო გადიოდა, თანდათან იწყო მოდიდება და ნაშუადღევის ხუთ საათამდე იმოდენი მოიმატა, რამოდენიც ჩვეულებრივ დიდი წვიმების დროს მოუმატნია ხოლმე. 5 საათიდგან-კი არა-ჩვეულებრივი ძალა გამოიჩინა: რკინის ხიდი თითქმის დამალა, ამ ხიდის მარჯვენა ნაპირის ქვის ბურჯი დააქცია და თითონ ხიდსაც მოაგლიჯა რამოდენიმე საჟენის სიგრძეზე ნაწილი თავისს რკინის ბოძებით და ფიცრებით. ხიდის ყურთან რაც კარგი ორ-სართულიანი ქვიტკირის შენობები იყო, ისე დააქცია, რომ ერთი ქვაც აღარა

---

ველ საათზე დაცალიერდა.

X

ქრისტეს შობის ბრწყინვალე დღესასწაულებია. სოფლის სკოლა დაცალიერდა. ბავშვების ჭიკჭიკი, გულ-მართალი შეკავებული სიცილ-ხმაურობა აღარ ისმის. უდაბნოდ ქცეულს ფიცრულს სახლში მხოლოდ მოხუცი სკოლის მსახური სალომელა დადის. სალომეს სახეზე ეტყობა, რომ რაღაც საქმის გაკეთება უნდა და ხშირად მასწავლებლის ოთახში იხედება. ზენა ქარი საშინლად უბერავს და ფარღალალა სკოლის კედლებში სისინი გააქვს. მასწავლებლის ოთახის ბუხარი სალომემ ეს ეს არის გაახურა, იქაურობა მიალაგ-მოალაგა, დაასუფთავა, მაგრამ ამ ოთახს მაინც არ შორდება. მასწავლებლის დაფიქრებული, დაღონებული სახე სალომესაც აწუხებს. მართალია პირველად არ ხედავს სალომე ამ ყოფაში მასწავლებელს, მაგრამ დღეს, როცა სოფელში ყველა მხიარულობს, ყველა სადღესასწაულოდ მორთულა, აქ სკოლაში გულ-შემხუთველი სიჩუმეა და მასწავლებელიც უფრო დაღონებულა, გულჩათხრობილია სიცოცხლის ნიშანი დაჰკარგვია და სახეზე ცრიაგიყვითელი ფერი გადაჰკვრია ძთვალები უფრო ჩასცვივნია, წელშ ლიერ მოღუნულა. მასწავლებლისი ჩონჩხი დიდს თბილ შალში შეხვეულა და მაგიდაზე იდაყვ დაყრდნობილი თეთრს სუდარაში შეხვეულს ბუნებას გაჰყურებს. სალომეს მასწავლებელი წმინდის გულით ეცოდება, სწუხს იმასთან ერთად, მაგრამ საშველი, სანუგეშო ვერა მოუსაზრებია-რა. ბოლოს სალომე ფეხ-აკრეფით მიუახლოვდა მასწავლებელს და ნელის ხმითა ჰკითხა:

— ქალბატონო, დღეს სადილისათვის ჩიხირთმა მოვამზადო?

მასწავლებელმა არც-კი მიჰხედა სალომეს და უგულოდ უპასუხა:

— შენი ნებაა, სალომე.

სალომე გამოტრიალდა და ოთახიდამ ბუტბუტით გავიდა: „საწყალი ალი! ცუდად არის და თავისს თავს ყურს-კი არ უგდებს“. მასწავლებელი თიკო მართლა რომ თავისს თავს ყურადღებას არ აქცევდა. თუმცა კი ეხლა უფრო ძლიერ ენატრებოდა სიცოცხლე - ჯანმრთელობა, მაგრამ გვიან-ღა იყო შერყეულ ჯანმრთელობის განკურნება.

თიკომ ჯან-ღონის შერყევის მიზეზიც-კი გადაივიწყა, მაგრამ... სოფლის დღევანდელმა წმინდის გულით სიამოვნებამ და მხიარულებამ უკვე დამარხული წარსული ამაოება კვლავ გაუცოცხლა და თვალ-წინ დაუყენა. ამ მოგონებამ გაიტაცა იგი.

რა ხან-მოკლე და ეკლიანი იყო თიკოს პირველი ნაბიჯი ორი წელიწადი გადიოდა, რაც თიკომ მიატოვა ყველა: ქმარი, დედა, სიმდიდრე, ფუფუნება და მიყრუებულს სოფელს მიეკედლა. გამოშორდა სისაძაგლესა, ბოროტებას, მწარე მოტყუებას, რომ უკანასკნელი დღენი უანგარო წმიდის შრომით თვისი შეცოდება შეენანიებინა. დღეს-კი კვლავ მოაგონდა ის ცხოვრება, რომელიც თიკომ წმიდის გულით დასწყევლა.

თიკოს მეტად მალე გაუცრუვდა ანდროზე დამყარებული იმედები და მალე სცნო მისგან მოხერხებით დაფარული მისი შინაგანი სიფუტუროვე. მალევე მიჰხვდა, რომ ფუტურო დედა ბოძი ოჯახს დიდ მანძილს არ უქადდა. თითქმის შეურიგდა კიდეც თიკო თვისის გულწრფელი წადილის უკუღმართად დატრიალებას და ანდროს ასეთი მოხერხებული სიცრუის გამოაშკარავებას. ძლიერად დაეკოდა გული, როცა ანდრომ უსინიდისო ღრეჭით განუცხადა, რომ ჩემო კარგო, შენ ეხლა სკოლაზე და სხვის შვილების აღზრდა-სწავლაზე-კი არა, საკუთარს ოჯახზე უნდა ჰფიქრობდეო...

ყველა, ყველა თითქმის რომ აპატია ანდროს თიკომ და თვისის ცხოვრების ასე დატრიალების მიზეზად დამნაშავეთ მხოლოდ თავის თავსა სთვლიდა და აკი ამიტომ სასტიკად იტანჯა კიდეც. კარ-შეკეტილი გულზე მოწოლილს ბოროტს და დარდს უთქმელად, განუზიარებლივ გულშივე იტრიალებდა და ისედაც უნუგეშო ცხოვრებას უფრო იწამლავდა... მაგრამ... როგორ დაავიწყდება თიკოს ის წამი, როცა მდიდრულად მორთულს საწოლს ოთახში იჯდა და მეორე ოთახიდამ ქმრის და სოფლელი დედაკაცის ლაპარაკი ესმოდა. უბედური დედაკაცი ცრემლით ემუდარებოდა ანდროს, დახმარებასა სთხოვდა, მაგრამ ქვის გული დედაკაცის ცრემლმა ვერ მოალბო. თიკომ ვერ მოითმინა; ოთახის კარების გასაღების ჭუჭრუტანასთან მივიდა და იქიდამ მეორე ოთახში დაუწყო ცქერა. წელში მოხრილმა დედაკაცმა ცხრა ძონძში გამონასკულ-შეხვეული ხუთ მანეთიანი ამოიღო, ანდროს მაგიდაზე დადო და ვედრებით უთხრა ულმობელს მოხელეს:

— ჩემი ხუთი ობლის დარჩომამ, ამის მეტი ფული არა მაქვს. ესეც ჩემი ქვრივ-ობლობით ძლივს მოვაგროვე. მიიღეთ და აგრემც ღმერთი გიცოცხლებთ ლამაზ ცოლშვილს, ჩემს ობლებს სოფელს ნუ დააჩაგვრინებთ.

ანდრომ წარბ-შეუხრელად ჩაჯიბა ქვრივ-ობოლთ სისხლ-ოფლით შეძენილი ფული; თიკომ ველარ შესძლო... მიჰხვდა თუ საიდამ და როგორც იყო ირგვლივი სიმდიდრე მოპოვებული, გააფთრებული მოჰშორდა კარებს; შემოიგლიჯა ფარჩის კაბა, იქაურობა მილეწ-მოლეწა და გიჟსავით ქმრის ოთახში შეიჭრა. თიკოს შერყეულმა სახემ ანდრო შეაშინა, მიჰვარდა კიდეც, მაგრამ თიკომ საშინელის ღონით ხელი გულში ჰკრა.

— მომშორდი, არ მომეკარო საცოდავი ხალხის სისხლში ამოსვრილი ხელი. დედი, მიუბრუნდა თიკო დედაკაცს, დაიჭი წაიღე ჩემ სახსოვრად შენს ობლებს მოახმარე. თიკო თან ელაპარაკებოდა და თან ოქროს ბეჭდებს და სამაჯურებს ხელიდგან იძრობდა და ქვრივს აძლევდა.

— რას სჩადიხარ ქალო, შეაყენა ანდრომ, მაგრამ თიკომ ისეთი მკაცრი თვალით შეჰხედა, რომ ანდრო [illegible] შესდგა.

— არ მომეკარო! წადი, წადი, დედი! თიკომ ქვრივს ხელი მოავლო და ეზოს კარებამდის გააცილა.

ამ შემთხვევის შემდეგ თიკო ანდროს სახლში ერთი საათი-ღა დარჩა. რაც-კი თავისი საკუთრება ტანისამოსი, ნივთი ჰქონდა, მოჰკრიფა და იმ

სჩანდა. ღამის ორ საათამდე მდინარის მარჯვენა ნაპირზე ორი მშვენიერი ბაღი ცერცვაძისა და არდიშვილისა ისე წალეკა წყალმა, რომ ერთი ძირი მცენარე არ დაუტოვებია. იმავე ცერცვაძის ორ-სართულიანი სახლი, ღირებული არა ნაკლებ ათასი თუმნისა, და რკინის გზის წყლის ამოსაღები ორთქლის მანქანა დააქცია სამუდამოდ. მხოლოდ ორი კედელი დარჩა ამ შენობებისა. ნაშუადღევის 2 საათიდამ თითქო გამოიდარა: საღამოს აქა-იქ ცაზე ვარსკვლავები გამოჩნდნენ, მთვარემ მთელი დაბა გაანათა, წყალმა შესანიშნავად დაიკლო.

29 ღვინობისთვე. მთელი დღე ღრუბლიანია, ხან-და-ხან წვრილად სწვიმს, წყალი მომეტებულია, მაგრამ ისე არა, როგორც გუშინ. მრავალი ქალი და კაცი გამოეფინნენ მდინარის ორივე ნაპირებზე და განცვიფრებულნი, მოწყენილი სახით ათვალიერებენ იმ ალაგს, სადაც გუშინ ლამაზი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლები იყო ჩარაზმულნი და ახლა-კი მღვრიე გაბრაზიანებულ აქაფებული მდინარე მიქუხს. დღეს წყალს აღარაფერი გაუფუჭებია.

30 ღვინობისთვე. წუხელი წვიმა არ შეწყვეტილა, დილის 10 საათიდგან ისევე იმატა წყალმა, როგორც გუშინ-წინ; მცხოვრებნი დიდს შიშსა გრძნობენ; ვაჭრებმა მაღაზიები და დუქნები დასცალეს, თავიანთ ქონება გადაიტანეს შესანახავად მაღლობ ადგილებზე; ზოგიერთი ხის შენობები დაანგრიეს, ქვისას კარები და ფანჯრები მოაცილეს ჭერები და იატაკები აიღეს და ცდილობენ ორიოდე ფიცარი მაინც დაატოვებიონ გაშმაგებულ ყვირილას.

საღამოს 6 საათზე მოისმა გასაოცარი გრიალი—ჩაინგრა წყალში ერთი ორ-სართულიანი ქვითკირის შენობა მაღრაძისა.

31 ღვინობისთვე. დილის 7 საათია; სჩანს, რომ წუხელ წყალს აღარაფერი დაუნგრევია; მარჯვენა ნაპირზე სახლების პატრონები დიდს ფაცა-ფუცში არიან: ზოგი სახურავს აგლეჯს სახლს, ზოგი კარებს, ზოგი ფანჯარას; ამ დროს ორი ხის შენობა სოკოსავით აიყვანა წყალმა და გაუყენა გზას თავის სახურავიანათ. გაისმა საზარელი ხრიალი და ჩაიშალა წყალში ერთი ლამაზი, ამ ერთი წლის აშენებული ქვითკირის სახლი ს. გაჩეჩილაძისა. 11 საათიდგან წყალმა შესანიშნავად იწყო დაკლება, თუმცა-ღა ცოტათი სწვიმს კიდევ.

1 გიორგობისთვე. დღეს მშვენიერი დარია; წყალი ჩავარდა; მარჯვენა მდინარის ნაპირს ორი საჟენის სიმაღლეზე მოსჩანს ჩამონგრეული მიწა; მთელი დღე დიდ-ძალი ხალხი დგას გაღმა-გამოღმა მდინარის ნაპირას და სცდილობენ ბაწრის გაბმას ერთი ნაპირიდგან მეორემდის. მარცხენა ნაპირი მდინარე ყვირილისა უხიდობისა გამო დიდს გაჭირვებაშია: აქ სცხოვრობენ ისეთი პირები, რომელთაც ცოლ-შვილი მარცხენა ნაპირზე ჰყავთ დაბინავებული და თვითონ-კი მუდამ-დღე მარჯვენა ნაპირზე ვაჭრობენ და საქმობენ, მხოლოდ-ღა მის გასათევათ მიდიან თავის ოჯახში. ბევრი ამათგანი მარჯვენა ნაპირზე დარჩა და თავის ოჯახში ველარ მიდის; ვინც გამოასწრო, ოჯახში ის თავის საქმეზე ველარ მიდის; აღარც რკინის გზა, აღარც ფოსტა-ტელეგრაფი მარცხენა ნაპირისთვის. რკინის გზის სადგურზე, ან ფოსტაში რომ საქმე გქონდეს, ხარაგაულზე (ბელაგორზე) თუ მოივლი, თორემ სხვა გზა არ არის. გარდა ადგილობრივი მცხოვრებლებისა მარცხენა ნაპირზე დგანან მომრიგებელი მსაჯული თავისი ერთი თანაშემწეთი და ზოგიერთი ჩინოვნიკებით (მეორე თანაშემწე და მღვდელი-კი გაღმა დარჩნენ),—ნოტარიუსი (მწერალი-კი გაღმა დარჩა). ყვირილაში ჯერ-ჯერობით ერთი ეკლესიის მეტი არ არის, და ეს ერთი მარცხენა მდინარის ნაპირზეა თავისი კრებულით (მთავარ-დიაკონი-კი გაღმა დარჩა).

შუადღისთვის დიდი წვიმების შემდეგ, როგორც იყო მარჯვენა ნაპირიდგან დარჩენილი ხიდის (ერთი ნაწილი წყალმა წაიღო) ყურზე გამოაბეს ბაწარი და გაიმართა წერილების გადაცემ-გადმოცემა; ამავე ბაწრის საშუალებით მარჯვენა ნაპირიდგან მარცხენა ნაპირს აწოდებენ გამომცხვარს პურს, ნავთს და სხვა-და-სხვა ხორაგს, რომლის ნაკლულევანებას ერთობ ვგრძნობთ მარცხენა ნაპირზე მცხოვრებნი. დიდი ზარალი მისცა ამ გზობისად წყალმა ადგილობრივ ვაჭრებს და სახლის პატრონებს. დიდს გასაჭირს ველით კიდევ, თუ ხიდი დროზე არ გაკეთდა.

წ—ძე.

დ. ყვირილა, 2 ნოემბერი, 1895 წ.

## რუსეთის ცხოვრება.

—

„ნოვ. ვრ.“ იტყობინება, რომ რკინის გზათა დეპარტამენტის დირექტორი სუმაროკოვი ინიშნება ყველა რკინის გზათა მთავარ-მმართველად. ეს სრულიად ახალი თანამდებობაა რუსეთში.

—

7 ნოემბერს საბოლოოდ გარდაწყდა, რომ პეტერბურგის წერა-კითხვის კომიტეტი საერო განათლების უწყებაში გარდადის.

—

ოდესის ქალაქის მოურავს წერილი მოსვლია საერო განათლების მინისტრისაგან, რომლიდგანაც სჩანს, რომ მთავრობას გარდაუწყვეტია მალე დააარსოს ოდესის უნივერსიტეტში საექიმო ფაკულტეტი. ამ საგნისათვის ხაზინა გადასდებს 1,750,000 მ. ერთთავად და ყოველ წლივ 194,000 მანეთს. ქალაქი თავისს მხრით გადასდებს 500,000 მანეთს და უფასოთ მისცემს აგრეთვე მიწას.

—

სევასტოპოლის ნავთ-სადგურში გაფაცკიცებით მუშაობენ გემების საბოლოოდ მოსამზადებლად. სამხედრო გემები მზად არის, როგორც კი საჭიროება მოითხოვს.

## უცხოეთი

—

**ინგლისი.** ჯონ მორლეიმ თანხმობა განაცხადა პარლამენტის კერძო არჩევნებზე ლიბერალთა პარტიის კანდიდატად გამოვიდეს „Montrose Burgs“-ის ოლქში. „დაილი ნიუს“-ის სიტყვით, მრავალმა უნიონისტმა თურმე გარდასწყვიტა ჯონ მორლეის თეთრი კენჭი ჩაუგდოს.

—

ლონდონელი კორესპონდენტი უცნაურს ამბავს იუწყება, ვითომ ლორდ სოლსბერის თავისს სიტყვაში მთლად არ გადმოეცეს სულთანის წერილის შინაარსი. ამბობენ, ვითომ სულთანს სურვილი განეცხადებინოს ამ წერილში, მალე ინახულოს ლონდონი და ევროპის სხვს აატახტო ქალაქები, რათა დიდს სახელმწიფოებს გარდაწყვეტილად მოელაპარაკოს ოტტომანის იმპერიაში რეფორმათა შემოღების საქმის შესახებ.

—

**საფრანგეთი.** როგორც უკვე ვუწყით დეპეშიდამ, 10 ნოემბრის სხდომაზე პარლამენტმა 404 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 125-სა უკვე მიიღო კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ მემკვიდრეობაზე გარდასახადი იქმნას დაწესებული. კენჭის ყრამდე სხვა-და-სხვა პარტიებისაგან მრავალი აზრი იქმნა წარმოდგენილი. ზომიერებმა თავისის დეპუტატის ალიკოს პირით განაცხადეს, რომ ჩვენ წინააღმდეგნი ვართ სახელმწიფო პროექტისა, რადგანაც პროგრესიული გარდასახადი საშიში ახალი შემოღებაა, რომელსაც ინდივიდუალური მოქმედების დაუძლურება მოჰყვებაო. ამ აზრს მხარი დაუჭირა მონარხისტმა ლანჟუინემ და შენიშნა, რომ პროგრესიული გარდასახადი, რომელიც 20 პროცენტს შეადგენს, გარდასახადი-კი არა, სამკვიდროს კონფისკაციააო. სოციალისტთა მხრივ დეჟანტი ლაპარაკობდა. დეჟანტმა სთქვა: ჩემი პარტია სახელმწიფო პროექტის მომხრეა, რადგანაც ქონებათა სამართლიანად განაწილების საქმეში ეს პირველი ნაბიჯიაო. რეაქციონერმა ლასტეირმა განაცხადა, რომ იგი პროექტს დაუჭერს მხარს, რადგანაც ღირსება პროექტისა ბევრით აღემატება მისს ნაკლსაო და სახელდობრ—იგი ანთავისუფლებს გარდასახადისაგან ერთს ნაწილს სამკვიდროსას, რომელიც დღეს ვალების მოშორებას სჭირდებაო. ამის შემდეგ ცხადი იყო, პროექტი მიღებულ იქნებოდა, რაც კენჭის ყრამაც დაამტკიცა.

—

**ავსტრ-უნგრეთი.** გუშინ-წინ ტელეგრაფმა გვაცნობა გრაფის ტააფეს გარდაცვალება. გრაფი ტააფე ავსტრ-უნგრეთის შესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწე იყო. ის დიდ ხანს მართავდა ავსტრიას, 1879 წლიდან ვიდრე 1893 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში ტააფეს მეცადინეობა იმაზე იყო მიქცეული, რომ რითაც შეიძლება მოერიგებინა ერთმანეთში ავსტრიის იმპერიის სხვა-და-სხვა ერი. ხან-და-ხან მის მოღვაწეობას შედეგიც ჰქონდა: რამდენიმე ხნით ერთა შორის თანხმობა ჰსუფევდა, მაგრამ გერმანელთა და სლავთა შუა განხეთქილება ისევ მალე იჩენდა ხოლმე თავს. 1893 წელს ტააფემ თავი დაანება ავსტრიის მინისტრ-პრეზიდენტობას და თავის მოადგილეთ გარდასცა დაუბოლოვებელი საქმე ერთა შორის თანხმობისა და ნამდვილ კავშირის შექმნისა. გრაფ ტააფე 62 წლისა გარდაიცვალა.

—

ოსმალეთის მთავრობამ წერილით აუწყა ბერლინის გაზეთებს: ის ხმა, ვითომც სულთანი ძლიერ ავად იყოს, ტყუილიაო.

—

„ტაიმს“-ს კონსტანტინოპოლიდამატყობინებენ, რომ ელჩებმა უნდა გარდასწყვიტონ, რა გზით უნდა იმოქმედონ ევროპის სახელმწიფოებმა ოსმალეთის შესახებაო. პირველი მოსაზრება: დაუცადონ ხელის შემწყობ გარემოებათ და მათდა მიხედვით აირიდონ ის დაბრკოლებანი, რომელნიც უშლიან საქმის გამოკეთებას; მეორე მოსაზრება: დაავალონ სულთანს, რათა ოსმალეთის აწინდელი მართვა-გამგეობა იმგვარად გადააკეთონ, რომ სახელმწიფოს ჰყავდეს მმართველობა, რომელიც იქნება

---

დღესვე ტფილისში წავიდა.

ტფილისში თიკომ დიდხანს ვერ გასძლო. ტფილისის აფორიაქებული ცხოვრება გატანჯულს თიკოს ვერ მოასვენებდა, მყუდრო ბინას ვერ მისცემდა; ამიტომ ტფილისსაც მალე გაშორდა და მიყრუებულს სოფელს შეეკედლა.

სულ მეორე წელიწადი იყო, რაც თიკო სოფელში მოვიდა, მაინც ამ მცირე დროშიაც-კი ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. თიკოს მოსვლამდის დაცალიერებული სკოლა, გაცოცხლდა, ახმიანდა.

ახალმა წრემ, საქმემ თიკოს დროებით მაინც არ დაავიწყა წარსული. თიკო ხედავდა სოფლის ხალხის გულკეთილს პატივისცემა-თანაგრძნობას, ხედავდა, თუ რა ნდობით და იმედებით მიჰყავნდათ ბავშვები მასთან და გულ-მტკივნეულად იმეორებდა: „გვიან, ძლიერ გვიან მივაგენ ჩემს გზას! სამუშაოდ საჭირო ჯან-ღონე უარარაობას შევალიე და ეხლა გვიანღაა... იმეორებდა თიკო და მაინც-კი შეძლების დაგვარად სცდილობდა, როგორც და რითაც-კი შეიძლებოდა თავისის პირ-და-პირი მოვალეობის გარდა სოფლისათვის სხვაგვარადაც დახმარება აღმოეჩინა.

პატარა მოსწავლეთ გარდა კვირაუქმე დღისა სოფლის მოზრდილ ქალებს სკოლაში თავს მოუყრიდა ხოლმე და წერა-კითხვის გარდა ჭრა-კერვას და ხელ-საქმეს ასწავლიდა. პირველში თუ თიკო თავისს უფროსს მოსწავლეებს კარის-კარ სიარულით ჰკრეფდა, სულ მცირე ხანში მოსწავლეთა რაოდენობამ თავის და თავად ისე იმატა, რომ სოფლის სკოლის დარბაზი რომ არ იტევდა, ავისთ ოთახსაც-კი მათ უთმობდა. მაგრამ განა ამითი დაბოლოვა თიკომ სოფლად თავისი მოქმედება? თავის გულწრფელი დარიგებითა და რჩევით სოფელი ბევრს უწმაწურს ჩვეულებას გადაარჩია. მომეტებული ყურადღება თიკომ სოფლის მატყუარა მკითხავებს მიაქცია. თიკომ იცოდა, რომ მატყუარა მკითხავებს უფრო დედაკაცები მისდევენ და მცირე რაიმე გაჭირვების დროს უეჭველად მკითხავთან მირბიან. რაკი ერთი და ერთი თიკომ თავის პატარა და უფროს მოწაფეებს გამოუცხადა, რომ დაუფარავად მითხარით ხოლმე ყოველი თქვენი ოჯახის შეწუხებაო, თიკო გაიგებდა თუ არა, რომ ამა და ამ ოჯახში ავადმყოფია, მაშინადვე იმ ოჯახისაკენ მიისწრაფებოდა. ავადმყოფის პატრონს ნუგეშს, იმედს მისცემდა, დაარიგებდა, თუ როგორ მოევლოთ ავადმყოფისათვის და შეძლების დაგვარ დახმარებასაც აღმოუჩენდა ხოლმე: თიკოს გამოულეველი ჰქონდა სხვა-და-სხვა სახელდახელო წამლები. დაუზარებელმა შრომა-მეცადინეობამ სოფელს თვისი მასწავლებელი ძლიერ მალე შეაყვარა და განუსაზღვრელი ნდობაც მოუპოვა, მომეტებულად ხომ სოფლის დედათა სქესი ევლებოდა და შეჰხაროდა მასწავლებელს... მაგრამ უდროოდ დაძაბუნებულს თიკოს საღდა შეეძლო მანძილიანი შრომა.. წარსული ცხოვრების ბორძიკი იარად ჩარჩა გულში და თან-და-თან უძლიერდებოდა. მოსწრებულმა სასტიკმა ზამთარმა ეს გულის იარა ერთიორად გაუძლიერა.

თიკო მაგიდაზე კარგა ხანს იყო დაყრდნობილი; უცებ საშინელი ხველა აუტყდა, გულზე რაღაც მოაწვა და პირიდამ წყაროსავით სისხლი წასქდა. მოხუცი სალომე მიეშველა თიკოს, ხელით საწოლთან მიიყვანა და ლოგინში ჩააწვინა.

—

ღამის თორმეტი საათია. უკანასკნელი წამიც მიილია და ძველი წელიწადი წინაპართა გზას გაუდგა, ზენაქარმა ღონივრად ჩამოჰქროლა, ბებრუცანა წლის უკუღმართი ნამოქმედარი ქვეყნად აჰგავა, ერთს ალაგს მოაგროვა და სწრაფ შორს უფსკრულისაკენ გასტყორცნა.

ულმობელმა ქარმა სკოლის დაძაბუნებულს შენობასაც შემოუტია. ავადმყოფმა თიკომ ქარის სისასტიკე იგრძნო, შეიჩმუჩნა და წამოიწია. ერთი კიდევ მოავლო თვალი თავის ღარიბად მორთულ ოთახს, მწარედ ამოიკვნესა და ბალიშზე საუკუნოდ მიესვენა.

ერთგული სალომე მალე მიჰხვდა მასწავლებლის უბედურებას, ჯერ კიდევ თბილს თიკოს გვამს მიჰვარდა, მაგრამ გვიან-ღა იყო. თვალ-ცრემლიანმა სალომემ თიკოს გვამი ლოგინში გაასწორა, ზეწარი გადააფარა და საწოლის თავზე წმინდა სანთელი აუნთო.

მეორე დღეს მასწავლებლის უბედურება სწრაფლ მოედო სოფელს. სადღესასწაულო, სამხიარულო დღე საყვარელი მასწავლებლის გარდაცვალებამ სამწუხაროდ შესცვალა. სოფელი წმინდის გულით სტიროდა. ახალიწლის პირველი დღე, ბავშვების მეტად სასურველი სადღესასწაულო დღე, სოფელ შ—ანის ბავშვებს სატირლად გარდაექცათ. მასწავლებელთან ახალწლის მისალოცავად მისული ბავშვები შინ თვალ-ცრემლიანნი ბრუნდებოდნენ.

უბედური მასწავლებლის დასაფლავება თითონ სოფელმა იტვირთა. მესამე დღეს სკოლიდამ საცოდავი თიკო გამოასვენეს. ცხედარს მთელი სოფელი მისდევდა და ცხარე ცრემლით სტიროდა.

ერთი თვის შემდეგ სოფლის დედაკაცებმა ერთმანეთში ფული მოაგროვეს, ორმოცის წირვა გადაუხადეს თიკოს და საფლავზე ქვა დაადეს.

საცოდავი მასწავლებლის სახსოვრად სოფლის სასაფლაო ეკკლესიის გალავანში უბრალო საფლავის ქვაღა დარჩა. თუ ქვა უბრალოა, სამაგიეროდ მარტივი ზედ წარწერა: „აქ განისვენებს ჩვენი მასწავლებელი თიკო“, ნათლად მოწმობს მასწავლებლის-მიმართ სოფლის სიყვარულსა და პატივისცემას.

ი. კახელი.

1895 წელსა.

პასუხის-მგებელი წინაშე ამომრჩეველთა, ე. ი. შემოილოს წარმომადგენლობითი მმართველობა; მესამე: მოეწვიოს კონფერენციას აღმოსავლეთის საქმეების გარდასაწყვეტად. კორესპონდენტს პირველი და მეორე მოსაზრება არ მოსწონს, ხოლო უკანასკნელს-კი თანაუგრძნობს. თუმცა ეს უკანასკნელი ძნელი ასასრულებელია, მაგრამ მაინც იძულებულ იქმნებიან მიჰმართონ ამ საშუალებას. ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ გაზაფხულზე ყველა ეს საგნები კვლავ წინ წამოდგებიანო.

## ბიბლიოგრაფია.

რამდენი წელიწადია, რაც ჩვენთა მამა-პაპათა გონებითი მონაღვაწი გროვდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთ-საცავში და დღემდის-კი ამ საზოგადოებას ვერ მოუხერხებია აესუსხა ყველა შეგროვილი ხელთ-ნაწერები და წიგნები და შეედგინა კატალოგი. ხოლო ყველამ იცის, რომ წიგნთ-საცავი უკატალოგოთ იმისთანა სალაროა, საცა ყველაფერი არეულია, საცა ბევრი სასარგებლო რამ არის, მაგრამ, სახელდობრ, რა და რა არის—ეს-კი ვერავის გაუგია, თვით იმასაც, რომელიც განაგებს ამგვარს წიგნთ-საცავს. აი ამიტომაც დიდად სასახელოდ მიგვაჩნია ის შრომა, რომელიც განუზრახავს დავით კარიჭაშვილს, წერა-კითხვის საზოგადოების მდივანს. წინ გვიდევს ვეება წიგნი, რომელსაც ზედაპირზე აწერია: „კატალოგი წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთ-საცავისა“. ეს კატალოგი ჯერ დამთავრებული არ არის. მასში მხოლოდ 79 წიგნია ჩაწერილი. ყოველი წიგნის შესახებ ავტორს მოჰყავს მოკლე-მოკლე ცნობები და აღნიშნავს თუ ესა და ეს წიგნი როგორის ხელით არის ნაწერი ან ნაბეჭდი, რომელს ადგილს გადაწერილია, ან დაბეჭდილი, რომელს წელს გადაწერილია ან დაბეჭდილი, რამდენი გვერდია ან ფურცელი, ყდიანია თუ უყდო, რა ზომისაა, ვისი შემოწირულია, რა სწერია წინასიტყვაობაში, რა და რა შენიშვნები აქვს და სხ. ჯერ იმითაც, რაც კარიჭაშვილს აღუნიშნავს, ბევრს საგულისხმო რამეებს ვტყობილობთ. მართალია წინადაც ვიცოდით (ცაგარლის „ნაწერების მეოხებით), რომ ერეკლე II-ის დროს ქართულს ენაზე იყო კომედიები, იყვნენ მსახიობნი, რომელთა უფროსად, როგორც ამბობს თეიმურაზ ბატონიშვილი, ითვლებოდა ვინმე მაჩაბელი, მაგრამ ყოველივე ამის შესახებ დაწვრილებითი ცნობები არა გვქონდა. კარიჭაშვილის კატალოგის მე II №-რი-კი გადმოგვცემს შემდეგს: „ა) გამოსაცნა კომედიისა“, ავალოვის-მიერ თარგმნილი 1794 წელს; ბ) „დედაჩაყიფის ქალისა“, კომედია, თარგმნილი მისივე“; გ) „საჩხუბარი, კომედია, გადმოღებული მისგანვე“; დ) „უბნობა მკვდარია“ და სხ.

ამ ხელთ-ნაწერს კატალოგში კიდევ ბევრი ისეთი ცნობებია, რომელნიც ნათელს ჰფენენ ჩვენის ძველი დროის ცხოვრებას. ამიტომაც არ შეგვიძლია არ მივულოცოთ ბ. კარიჭაშვილს გამარჯვება ამ საქმეში. კარგად გვესმის, რომ კარიჭაშვილის-მიერ დაწყებული საქმე ფრიად საჭირნახულოა და ძნელი, მაგრამ ეს სიძნელე დაძლეულ იქმნება, რადგან, ვფიქრობთ, ავტორს ამ შემთხვევაში დაეხმარება წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა და მეტადრე-კი მისი წევრი ბ. ე. თაყაიშვილი, რომელსაც შესწავლილი აქვს უმეტესი ნაწილი განსახილველ წიგნთ-საცავის წიგნებისა.

მ. ჯ.

## კონცერტი ოთხ დათა რედერის ქალთა.

გუშინ-წინ, კვირას, ამ თვის 19-ს რიცხვსა, თავ. მუხრან-ბატონის სახლში, კლუბის დარბაზში მეორე კონცერტი იყო ოთხ დათა რედერის ქალთა. ერთი ამათგანი როზალია ფორტოპიანოზე დამკვრელია, მეორე—სოფიო—სკრიპკაზე, მესამე—ლოლა—ალტაზე და მეოთხე—ემილია—ვიოლონჩელზე.

კონცერტი დაიწყო რეინბერგერის კვარტეტით M. Bemol-ითა ჩინებულად და მეტად მწყობრად და ამ კვარტეტის Final-ის დასრულების შემდეგ საზოგადოებამ დიდი ტაშისცემით დააჯილდოვა რედერის ქალები.

სოფიო რედერისამ ცალკე შეასრულა გოლდმარკის კონცერტიდამ არია და ცხადად დაამტკიცა, რომ სკრიპკა იმის ხელში მარტო თავისს გაწვრთნილ თითების სავარჯიშოდ-კი არ არის, არამედ იმიტომ, რომ გამოუხატოს მსმენელს შიგ გულის სიღრმეში ჩამალული სიმშვენიერე სულისა, რომელსაც მსმენელი აღტაცებაში მოჰყავს.

მუსიკის სულის და გულის გამოთქმა მარჯვე ხელის დასმითა, დინჯად და რბილად დაუსახა დამსწრე საზოგადოებას და მეტად ასიამოვნა ემილია რედერის ქალმა, როცა მან თავისს ვიოლონჩელზე აასრულა მშვენიერი Andante მოლიკის კონცერტიდამ. პოპერის ისპანიურ ლამაზ კარნავალის დაკვრით ცხადად დაარწმუნა საზოგადოება, რომ ქ-ნ ემილიას ძლიერ კარგად აქვს შემუშავებული თითების ხმარება.

დასასრულ ოთხთა დათ შეასრულეს რაფფის კვარტეტი, რომელმაც აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება. ამ კვარტეტში ცხადად გამოისმოდა დახელოვნებული ხელი ქალბატონის ლოლას ალტისა და როზალია რედერისა ხომ მშვენიერი აკომპანიატორი გამოდგა. თუმცა მეტად დიდი ტეხნიკა თითებისა არა აქვს, მაგრამ ქ-ნ როზალიას ხელში როიალი მეტად მკაფიოდ და ტკბილად გადმოსცემს სამუსიკო ხმებს.

საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ რედერის ქალები მეტად დახელოვნებულნი არიან თავ-თავის ხელობაში და კარგად შეთანხმებულნი არიან ერთმანეთში. ამიტომაა, რომ ამათი სამუსიკო ნომრები მწყობრად, ტკბილად და კარგი ჰანგებით გამოიხატება და მსმენელის ყურს ატკბობს.

რა გასაკვირველია, რომ დამსწრე საზოგადოებამ, რომელიც ბლომად იყო, დიდის აღტაცებით დააჯილდოვა დანი რედერნი და ამათაც ასიამოვნეს მსმენელნი პროგრამით დანიშნულის ნომრების გარდა კიდევ სხვა პიესებითა.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ იმათ, ვინც არ დაიშურა თავისი წვლილი და დახმარება აღმოგვიჩინა ავლაბრის სცენის მოყვარეთ ახალგაზრდა უმაწვილ-კაცობას სახალხო თეატრის დასაარსებლად.

მადლობას აგრეთვე პატივცემულ საზოგადოებას და უმორჩილესად ვთხოვ არ დაიშურონ თავიანთი წვლილი ამ ახალი საქმის ფეხზე დასაყენებლად.

შემომწირველთა სია:

ისაკ ზაალის ძე ბედიანიძემ 1 მ., ალეხა მელქსოვმა 30 კ., მიხეილ გავასშვილმა 20 კ., ვასილ ლოლაძემ 50 კ. ეგორ ამირაღოვმა 50 კ., იოსებ მათიაშვილმა 30 კ., იოსებ მეჭურჭლიშვილმა 20 კ., ნიკო ჩიკაიძემ 40 კ., გიორგი უჯუარდუზოვმა 50 კ., ისაკ დავითაშვილმა 40 კ., ალექსანდრე ანტონოვმა 20 კ., ვანო ლაზინოვმა 10 კ., არშაკ აკოფოვმა 30 კ., სანდრო ცომალაშვილმა 20 კ., გიორგი კაკუზერელმა 1 მ., ტოროშელიძემ 50 კ., მიშა ტერ-ვართანოვმა 20 კ., სოლომონ მამულაძემ 20 კ., გიორგი გაგიშვილმა 20 კ., იაგორ დავლაშერიოვმა 25 კ., მიხეილ ივანოვმა 50 კ., არტემ დონიოვმა 40 კ., დანიელ გარსიმოვმა 40 კ., ალექსი სულთანოვმა 20 კ., იაგორ სულთანოვმა 10 კ.

სცენის მოყვარული ახალ-გაზდა

ლ. ტაბატაძე.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

19 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** ცარსკოე სელოს მობრძანდა დიდი ჰერცოგი ჰესენისა მეუღლითურთ. ვარშავის რკინის გზის ალექსანდრეს სადგურზე მათ უმაღლესობათ მიეგებნენ ხელმწიფე იმპერატორი, დიდნი მთავარნი და დიდნი მთავრინანი და სხვანი.

„სავაჭრო და სამრეწველო გაზეთის“ სიტყვით, განზრახულია დაედვას გარდასახადი თანხის ყოველ ათას მანეთს; ქალაქის საკრედიტო საზოგადოებათა და საადგილ-მამულო ბანკთა თანხის ყოველ ათას მანეთზე ორი მანეთი, საურთიერთო ნდობისა და სავაჭრო ბანკებისა—1½ მანეთი, სასოფლო ბანკების, აგრეთვე შემნახველ-კასსებისა და ამხანაგობათა—ერთი მანეთი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგეს განკარგულება: იმ გამოცემათა სხვა ქალაქებში გაგზავნაზე, რომელნიც იმპერიის შუაგულ გამოდიან წელიწადში სულ ექვსჯერ, 1896 წლის 1-ლ იანვრიდგან ფასდაკლებული ტაქსა იქმნება დადგენილი; მომავალ წლიდგან მხოლოდ 8% გადახდევინებენ ნაცვლად დღემდის არსებულ 10% იმ ფასიდგან, რომელიც ხელის მოწერაზე და გაგზავნაზეა დადებული.

ხოლერისა და ხოლერის დაგვარ ავადმყოფობათა შესახებ: პეტერბურგში 11-დამ 18 ნოემბრამდე ავად გახდა 47, მოკვდა 14; ვოლინის გუბერნიაში 29 ოქტომბრიდამ 4 ნოემბრამდე ავად გახდა 220 კაცი, მოკვდა 110; ბერდიჩევის მაზრაში 29 ოქტომბრიდამ 4 ნოემბრამდე ავად გახდა 72, მოკვდა 26.

**პარიზი.** 18 ნოემბერს ალექსანდრე დიუმას დასაფლავებას მრავალი ხალხი დაესწრო. დასაფლავებაზე იყვნენ მინისტრნი კომბი და მოზურერი, გამოჩენილნი ლიტერატორნი, მხატვარნი და მრავალი არტისტია სამგლოვიარო ეტლი გვირგვინებმ. მთლად დაჰფარეს. ხალხით მთლად გაჭედილი იყო ის ქუჩა, საითაც სამგლოვიარო კორტეჟმა გაიარა, ვიდრე მონმარტის სასაფლაომდე. განსვენებულის სურვილის თანახმად გარდაცვალებულს სამხედრო პატივი არ აღმოუჩინეს და მის საფლავზე სიტყვები არ წარმოსთქვეს.

**კონსტანტინოპოლი.** სომეხთა შორის კვლავ დაიპატიმრეს ზოგიერთნი, რომ სამშობლო ადგილებში გაგზავნონ. 35 სომეხმა გალატელთა ეკკლესიას შეაფარა თავი, მაგრამ პატრიარხის მიერ წარმოგზავნილის კაცის რჩევით მალე ისევ გამოვიდნენ ეკკლესიიდამ.

**კონსტანტინოპოლი.** („სტეფანის სააგენტო“). აიტაბში, ალეპპოს მახლობლად, კვლავ მოხდა სისხლის ღვრა. მთელი ვილაიეტი შეშინებულია.

20 ნოემბერს.

**პეტერბურგი.** 19 ნოემბერს, ფინანსთა მინისტრისა და სხვა საპატიო პირთა თანადასწრებით იმპერატორის ალექსანდრეს სახელზე გარედამ მოსიარულეთა სახელოსნო კურსები აკურთხეს დიდის დიდებით; ეს კურსები ცესარევიჩ ნიკოლოზის სახელოსნო სასწავლებელთან იქმნა გახსნილი.

**ოდესსა.** ოდესის სამხედრო ოლქის არტილერიის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ნ. ნ. ტეპლოვი გარდაიცვალა.

გოუგსა და დნეპრში ყინულებისა გამო ოდესსა, ნიკოლაევსა და ხერსონში გემების მიმოსვლა შესწყდა.

**ბრესტი.** კრეისერები „რიურიკი“ და „დიმიტრი დონსკოი“ გავიდნენ აქედამ. რუსეთისა და საფრანგეთის ზღვაოსნები ერთმანეთს „ვაშას“ ძახილით შეეგებნენ. მუსიკათა ხორომ დაუკრა რუსული სახალხო სიმღერა და მარსელიეზა.

**ბერლინი.** იმპერატორის ვილჰელმის ბრძანებით, იმპერატორის ალექსანდრეს სახელის გრენადერთა რაზმის დეპუტაცია მიდის ოთხშაბათს პეტერბურგს; დეპუტაციას შეადგენენ კაპიტანი, ფელდფებელი და სამი ჯარის კაცი. დეპუტაციას აზრადა აქვს სამგზავროდ შეიარაღებული წარუდგეს ხელმწიფე იმპერატორს.

**სოფია.** ფერდინანდის ახლად დაბადებული შვილი—პრინცი კირილე მონათლულ იქმნა. მიმრქმელებად იყვნენ—დუკი ომალისა და ჰერცოგინა შარტრისა. უკანასკნელის მაგიერობას პრინცესა კლემენტინა სწევდა, ხოლო ომალის დუკის წარმომადგენლად იყო მარკიზი ლასტერი.


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. ხოროკან შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6 საათ. შაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცე აწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიციინსა ნავასარდიანი.

(857—1468)

### კბილის ექიმი
### ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—51).

### ქ. თელავს

იაფად ისყიდება ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ეზოთი, ბაღჩითა და ქვითკირისავე გალავნით ძირის სართულში მოთავსებულია დუქნები, ხოლო ზევითი სართული მოწყობილია საცხოვრებლად. გორისჯვრის ეკკლესიის პირ-და-პირ, ძველგალავანში. სყიდვის მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ სახლის პატრონს ამ ადრესით:

Г. Владикавказъ, Александровскій пр., собств. домъ, Давиду Давидовичу Баиндурову.

(8—2023—3).

მეფე დავით აღმაშენებელი
და იმისი დრო
ისტორიული მონოგრაფია
ნ. ურბნელისა
ფასი ორი აბაზი


Дозволено цензурою, Тифлисъ 20-го Ноября 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.